საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 16-03
12/01/2023

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა", „ფიზიკა და ასტრონომია“, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'', „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ (მოლეკულური ბიოლოგია), "ეკოლოგია", „უჯრედული ნეირომეცნიერება“ 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის N 2264-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 12 იანვრის N273-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა", „ფიზიკა და ასტრონომია“, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'', „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ (მოლეკულური ბიოლოგია), "ეკოლოგია", „უჯრედული ნეირომეცნიერება“ 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის N 2264-03 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,, ა) ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,მედიცინა'' - 9 ვაკანტური ადგილი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია.“
2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს;
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი